პატივცემულ დავით სერგეენკოს,
საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა მინისტრს
თბილისი, საქართველო

თემა: საქართველოს კერძო სექტორში დასაქმებული პირების კანონით გათვალისწინებული მინიმალური ანაზღაურება

2015 წლის 25 აგ ვისტო

თქვენო აღმატებულებავ:
„სამართლიანი შრომის ასოციაციასა“ და ქვემორე ხელმომწერ ჩვენს წევრ კომპანიებს დიდი ინტერესი გააჩნიათ გლობალური მიწოდების ქსელში დასაქმებული პირების სამართლიანი ანაზღაურების საკითხის მიმართ, კერძოდ კი, საქართველო მზარდი ტანსაცმლის სექტორში დასაქმებული პირებისათვის, სამართლიანი მინიმალური ანაზღაურების დაწესებასთან დაკავშირებით.

„სამართლიანი შრომის ასოციაცია“ (FLA) წარმოადგენს არაკომერციულ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, აგრეთვე, კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ძალისხმევას, მომუშავე პირების უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის, სამუშაო პირობების გლობალურად გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მეშვეობით. FLA-სთან ასოცირებული კომპანიები იცავენ FLA-ს სამუშაო ადგილის ქცევის კოდექსს „ანაზღაურების თაობაზე“, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციების (ILO) საერთაშორისო კონვენციებს, მათი მთლიანი მიწოდების ქსელის მასშტაბით. ამჟამად, დაახლოებით 50 მსხვილი და საშუალო მრავალეროვნული კომპანია, რომელიც საქმიანობას ეწევა ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ელექტრონიკისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში და ასოცირებულია FLA-სთან, საკუთარი წყაროს მოძიებას უზრუნველყოფს 50-ზე მეტი ქვეყნიდან, საქართველოს ჩათვლით.

ჩვენ გვესმის, რომ შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების სამინისტრო ზედმიწევნით აქტიურად არის ჩართული საქართველოს მთავრობის ძალისხმევაში, უზრუნველყოფილი იქნეს შრომითი უფლებების საქართველოს სამართლებრივი სამუშაო ჩარჩოს შესაბამისობა ILO-ს სტანდარტებთან. ეს არის პოლიტიკის ინიციატივა, რომელსაც ჩვენი ორგანიზაცია აქტიურად უჭერს მხარს. იმ სფეროებს შორის, რომლებშიც შესაძლებელია საქართველოს არსებული შრომითი სტანდარტების გაუმჯობესება, ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს ანაზღაურება. საქართველოს კერძო სექტორში დასაქმებული პირების კანონით გათვალისწინებული განახლებული მინიმალური ანაზღაურების არარსებობამ გამოიწვია ტანსაცმლის სფეროში დასაქმებული პირებისათვის ისეთი ანაზღაურების დაწესება, რომელიც არ შეესაბამება FLA-სთან ასოცირებული კომპანიების მიერ ნაკისრ ვალდებულებას, სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე. წინამდებარე წერილს თან ვურთავთ ჩვენს უახლეს მოხსენებას, საქართველოში არსებულ მინიმალურ ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

ჩვენ აქტიურ რეკომენდაციას ვუწევთ მთავრობას, დააწესოს გონივრული მინიმალური ანაზღაურების ოდენობა, დასაქმებული პირების სხვა საბაზისო დაცვით ღონისძიებებთან ერთად, როგორიცაა მაგალითად, შრომითი შემოწმებები. კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები უნდა წარიმართოს

დასაქმებულ პირებთან და მათ სავაჭრო გაერთიანებებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, დამსაქმებელთა ასოციაციებთან და მიმწოდებლებთან თანამშრომლობით. საკუთარი განზრახვის დადასტურების სახით, მთავრობას რეკომენდაციას ვუწევთ, უზრუნველყოს ILO-ს 26-ე და 131-ე კონვენციების რატიფიცირება, მინიმალური ანაზღაურების დაწესების თაობაზე.

სამართლიან მინიმალურ ანაზღაურებას შეუძლია საქართველოში დასაქმებული პირების ცხოვრების გაუმჯობესება და ისეთი ინდუსტრიის ჩამოყალიბება, რომელიც დასაქმებულებს მოიზიდავს შესაბამის მიწოდების ქსელებში სამუშაოდ. ვიმედოვნებთ, რომ შევძლებთ საქართველოს მხარდაჭერას ამ საქმიანობაში და მოხარულნი ვიქნებით შეგხვდეთ თბილისში, მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში.

პატივისცემით,

ჯეისონ ჯუდი
ვიცე პრეზიდენტი
„სამართლიანი შრომის ასოციაცია“.

დანართი: „სამართლიანი შრომის ასოციაციის“ მოხსენება საქართველოში არსებული მინიმალური ანაზღაურების თაობაზე (2015 წლის ივნისი).

ხელმომწერი კომპანიები:

adidas Group
William Anderson
Head of Social & Environmental Affairs, Asia Pacific

New Balance
Monica Gorman
Vice President of Global Compliance

Nike
Nick Athanasakos
Vice President of Global Sourcing and Manufacturing

Puma
Reiner Hengstmann
Global Head of Environmental and Social Affairs